ჩარჩო ხელშეკრულება საქართველოს დაცული ტერიტორიებისათვის გრანტების გამოყოფის შესახებ

№ 01 5 დეკემბერი 2008 წელი

წინამდებარე ჩარჩო ხელშეკრულება („ხელშეკრულება") იდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს („სამინისტრო"), დაცული ტერიტორიების სააგენტოს („სააგენტო"), რომლებიც მოქმედებენ საქართველოს სახელით, ერთის მხრივ, და კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდი („ფონდი") დაფუძნებული ჰესენის (გერმანია) კანონმდებლობის თანახმად, მეორეს მხრივ, შორის;

რამდენადაც „ფონდის" ძირითადი მიზანია გრანტების გამოყოფა პრიორიტეტული დაცული ტერიტორიებისთვის („პდტ"), რომელთა განმარტება მოცემულია დანართ "A"-ში, „მიმდინარე ხარჯების" მხარდასაჭერად სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, რომლებიც წარმოადგენენ „კავკასიის ეკორეგიონის" ძირითად ქვეყნებს („ძირითადი ქვეყნები");

რამდენადაც „ფონდმა" შესაძლოა გამოყოს გრანტები ზოგიერთი დანახარჯის დასაფინანსებლად, რომლებიც უკავშირდება პრიორიტეტული დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმების შემუშავებას; და

რამდენადაც მხარეებს სურთ ხელი მოაწერონ წინამდებარე „ხელშეკრულებას", რათა შექმნან მხარეთა თანამშრომლობის საფუძველი და მიაღწიონ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ მიზნებს.

ამდენად შეთანხმების საგანს წარმოადგენს შემდეგი:

1. ზოგიერთ ტერმინთა განმარტება

ზოგიერთი ბრჭყალებში მოცემულ ტერმინი (რომელიც არ არის განმარტებული წინამდებარე „ხელშეკრულებაში") განმარტებულია დანართ A–ში, სადაც ასევე მოცემულია იმ ტერმინთა ინდექსი, რომლებიც განმარტებულია საკუთრივ „ხელშეკრულების" ტექსტში.

2. „პდტ"-ის „მიმდინარე ხარჯების" მხარდამჭერი გრანტები

2.1 <u>ზოგადად.</u> გრანტები „პდტ"-ის „მიმდინარე ხარჯების" დასაფინანსებლად გაიცემა „საგრანტო ხელშეკრულებების" თანახმად, რომელებიც დაიდება „სააგენტოსა" და „ფონდს" შორის და ხელმოწერილი და მოწონებული იქნება „სააგენტოს" ხელმძღვანელისა და „ფონდის" აღმასრულებელი დირექტორის მიერ („აღმასრულებელი დირექტორი") ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. „გრანტის ხელშეკრულებები" შეიძლება ხელმოწერილი იქნას მხოლოდ „ფონდის" დირექტორთა საბჭოს მიერ („საბჭო") მისთვის „სააგენტოს" მიერ წარდგენილი (და „სამინისტროსა" და „პდტ"-ს ხელმძღვანელის მიერ დადასტურებული) საგრანტო წინადადების მოწონების საფუძველზე ქვემოთ მითითებული 2.4 მუხლის შესაბამისად.

2.2 <u>გრანტების მოთხოვნის ან გაცემის ვალდებულების არარსებობა.</u> წინამდებარე „ხელშეკრულება" არ ავალდებულებს „ფონდს" გასცეს, ხოლო „სამინისტროსა" და „სააგენტოს" მოითხოვოს „გრანტის" მიღება. „ფონდის"

ვალდებულებები „გრანტების“ გაცემასთან დაკავშირებით, ხოლო „სამინისტროსა“ და „სააგენტოს“ ვალდებულებანი „გრანტებთან“ მიმართებაში წარმოიშობა მხოლოდ საგრანტიო ხელშეკრულებების საფუძველზე.

2.3 გრანტების ხანგრძლივობა; თანადაფინანსება. „მიმდინარე ხარჯების“ დაფინანსებისთვის „გრანტები“ შეიძლება გამოიყოს „პდტ“-ს „მიმდინარე ხარჯების“ ნაწილის დასაფინანსებლად მაქსიმუმ 3 წლის ვადით ან უფრო ხანგრძლივი ვადით „საბჭოს“ გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც ეცნობება „სამინისტროსა“ და „სააგენტოს“.

2.3.1 <u>თანადაფინანსების მოთხოვნები.</u> „მიმდინარე ხარჯების“ დასაფინანსებლად „გრანტების“ გამოყოფა ექვემდებარება ქვემოთმოყვანილი თანადაფინასების პირობების შესრულებას:

(ა) ზოგადად, „ფონდს“ შეუძლია „მიმდინარე ხარჯები“ დააფინანსოს იმავე ან არაუმეტეს იმ თანხისა, რასაც გამოყოფს „სააგენტო“, სამინისტრო ან სხვა წყარო, რომელიც არ არის „ფონდთან“ დაკავშირებული და რაც აისახება „საგრანტო წინადადებაში“ (განმარტებული მუხლ 2.4.1-ში). ამასთან ერთად, „სააგენტოს“ მოეთხოვება სრულად დააფინანსოს ის ხარჯები (უშულოდ „სააგენტომ“, სამინისტრომ ან სხვა წყარომ რომელიც არ არის დაკავშირებული „ფონდთან“) რომლებიც გათვალისწინებულია „პდტ“-ს ბიუჯეტში მაგრამ არ წარმოადგენს „მიმდინარე ხარჯებს“.

(ბ) იმ „პდტ“-თვის რომლებიც ფუნქციონირებდნენ როგორც დაცული ტერიტორიები სულ ცოტა ერთი სრული წელი იმ წლიდან მოყოლებული როცა მოხდა გრანტის მოთხოვნა „ფონდისთვის“ („არსებული დაცული ტერიტორიები“), „ფონდი“ შეძლებს გრანტების გამოყოფას მხოლოდ მაშინ თუკი რეალურად იზრდება „პდტ“-ს „მიმდინარე ხარჯების“ საერთო დაფინანსება. შესაბამისად „სააგენტოს“ მიერ გაკეთებული „საგრანტო წინადადებაში“ „არსებულ დაცულ ტერიტორიებთან“ მიმართებაში აღნიშნულ უნდა იყოს, რომ „სააგენტოს“, „სამინისტროს“ ან საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული „პდტ“-ს „მიმდინარე ხარჯების“ (ინფლაციის გათვალისწინებით) მთლიანი წლიური დაფინანსება ტოლია ან უფრო მეტია მიმდინარე ან გასული ორი წლის დაფინანსების ოდენობაზე.

2.3.2 <u>მაქსიმალური ძალისხმევა.</u> ამგვარი თანადაფინანსება გაგებულ უნდა იქნეს როგორც „სამნისტროსა“ და „სააგენტოს“ ვალდებულება მიმართონ მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა მიღწეულ იქნას სახელმწიფო საბიუჯეტო პროცესში დაფინანსების შესაბამის ოდენობა. თუკი „სამინისტრო“ და „სააგენტო“ ვერ აღწევენ დაფინანსების შესაბამის ოდენობას, ისინი ამის შესახებ ატყობინებენ „ფონდს“, რის შემდეგაც მხარეები, ორმხრივად მისაღები ფორმით, შეეცდებიან შეცვალონ დაგეგმილი გადაწყვეტილებები, თუმცა ასეთ შემთხვევაში „ფონდს“ არ ექნება ვალდებულება განახორციელოს „გრანტით“ გათვალისწინებული დაფინანსება.

2.3.3 <u>უარის თქმის შესაძლებლობა.</u> „საბჭომ“ შეიძლება უარი თქვას ამგვარი თანადაფინანსების მოთხოვნაზე „საბჭოს“ შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

2.4 საგრანტო წინადადებები

2.4.1 წინადადების ძირითადი მოთხოვნები.
წინადადება ნებისმიერ გრანტთან დაკავშირებით რომელიც მოიცავს „პდტ“-ს „მინდინარე ხარჯების“ ნაწილს („საგრანტო წინადადება“) უნდა შეიცავდეს:

ა) დეტალურ საოპერაციო ან სამუშაო გეგმას („საოპერაციო გეგმა“) იმ პირველი წლისთვის, როდესაც უნდა გაიცეს გრანტი („საბაზისო წელი“);

ბ) „საბაზისო წლისა“ და შემდეგი ორი წლის ბიუჯეტს („ბიუჯეტი“), რომელიც უჩვენებს „პდტ“-ს საბიუჯეტო შემოსავლებსა და გასავლებს (სადაც ასახულია „სააგენტოსა“ ან „სამინისტროს“ (და/ან სხვა დაფინანსების წყაროები) და „ფონდის“ შეთავაზებულ დაფინანსების დონეს, რომლებიც შესაბამისობაშია 2.3 მუხლის მოთხოვნებთან); და

გ) „მენეჯმენტის გეგმას“

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში „საბჭოსთვის“ დამაკმაყოფილებელი ფორმით. „საბჭოს“ შეუძლია უარი თქვას „მენეჯმენტის გეგმის“ წარდგენის მოთხოვნაზე, მაგრამ მხოლოდ „პდტ“-ს საწყის გრანტთან მიმართებაში. დამაკმაყოფილებელი „მენეჯმენტის გეგმის“ გარეშე შეთანხმებული ნებისმიერი გრანტი უნდა მოიცავდეს „სააგენტოს“ შეთანხმებას „მენეჯმენტის გეგმის“ მომზადებაზე, რომელიც წარედგინება ახალ „საგრანტო წინადადებასთან“ ერთად.

2.4.2 „საოპერაციო გეგმა“, ბიუჯეტისა და „მენეჯმენტის გეგმის“ სტანდარტები.
იმის დასადგენად, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია „საოპერაციო გეგმა“, „ბიუჯეტი“ და „მენეჯმენტის გეგმა“ გრანტების მიზნებისათვის წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად, „საბჭო“ გამოიყენებს პერიოდულად გამოცემულ საორიენტაციო სტანდარტებს. „საბჭოს“ მიერ თავდაპირველად გამოსაყენებელი სტანდარტები „საოპერაციო გეგმების“, „ბიუჯეტებისა“ და „მენეჯმენტის გეგმების“ შესაფასებლად მოცემულია „ხელშეკრულების“ B, C და D დანართებში (რომლებიც შეიძლება შეიცვალოს „ფონდის“ მიერ წინასწარი შეტყობინებით 6.2 მუხლის შესაბამისად).

2.4.3 ფორმა და დრო. იმისათვის, რომ „ფონდის“ მიერ განხილულ იქნას „პდტ“-ს „მიმდინარე დანახარჯების“ დაფინანსების შესაძლებლობა, „საგრანტო წინადადება” უნდა შეესაბამებოდეს „ფონდის“ მიერ პერიოდულად დადგენილ ფორმას. „საგრანტო წინადადება” წარდგენილ უნდა იქნეს სულ მცირე სამი თვით ადრე იმ თარიღამდე, რომლისთვისაც „სააგენტოს“ სურს მიიღოს „საბჭოს“ თანხმობა.

2.4.4 „ფონდის“ მიერ განხილვის უფლება. „ფონდი“ იტოვებს უფლებას განიხილოს და მოიწონოს ბიუჯეტის დაფინანსების ოდენობა და „ბიუჯეტის“, „საოპერაციო გეგმის“, „მენეჯმენტის გეგმისა“ და „საგრანტო წინადადების“ ყველა სხვა მონაცემი. იმის დადგენისას, თუ რამდენად შეესაბამება „საგრანტო წინადადება“ წინამდებარე 2.4 მუხლის მოთხოვნებს, „ფონდი“ უპირატესობას მიანიჭებს შინაარსს და არა ფორმას და თუკი მოთხოვნილი ინფორმაცია მითითებულია რომელიმე წარდგენილ დოკუმენტში, ჩაითლება,

რომ ამგვარი დოკუმენტი „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის სწორად იქნა წარდგენილი.

2.5 საგრანტო ხელშეკრულება. საგრანტო ხელშეკრულებები „პდტ“-ს „მიმდინარე დანახარჯების“ დასაფინანსებლად („საგრანტო ხელშეკრულება”) უნდა მოიცავდეს, მათ შორის, დებულებებს რომლებიც მოიცავს „ფონდისთვის“ გასაკეთებელ ანგარიშებს, დაფინანსების პერიოდებს, დაფინანსების პირობებს, გადახდის მექანიზმებს, დაშვებას, თანამშრომლობას და სხვა საკითხებს შეთანხმების საფუძველზე. პირვანდელ გრანტთან დაკავშირებით, „ფონდი“ და „სამინისტრო“ მიმართვენ ძალისხმევას შეთანხმდნენ „საგრანტო ხელშეკრულების” ფორმაზე, რაც გამოყენებული იქნება როგორც მოდელი შემდგომი ხელშეკრულებებისთვის. „ფონდი“, „სააგენტო“ და „სამინისტრო“ მოელიან, რომ პირვანდელი „საგრანტო ხელშეკრულების“ პირობები დაეფუძნება დანართ E–ში მოცემულ პირობებს.

3. გრანტები მენეჯმენტის გეგმის შემუშავების დანახარჯების მხარდასაჭერად

3.1. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების დანახარჯები. მოსალოდნელია, რომ ბევრ „პდტ“-ს არ ექნება საკმარისი საშუალებანი და შესაძლებლობები, რათა მოამზადონ „მენეჯმენტის გეგმები“, რომლებიც შეესაბამება „ფონდის“ დანართ D–ში მოცემულ თავდაპირველ სტანდარტებს, რისთვისაც საჭირო იქნება კონსულტანტების ჩართვა გეგმის შესამუშავებლად. „სამინისტროს“ ან „სააგენტოს“ მიერ „მენეჯმენტის გეგმის“ ან მისი ნებისმიერი ნაწილის (მათ შორის გეგმების ინგლისურად თარგმნის ხარჯები) შემუშავებაში დასახმარებლად დაქირავებული გარეშე კონსულტანტების ანაზღაურება და ხარჯები შემდგომში მოხსენიებული იქნება როგორც „გეგმის შემუშავების დანახარჯები“.

3.1.1 <u>„ფონდის“ დაფინანსება.</u> „ფონდს“ შეუძლია დააფინანსოს 50% „მენეჯმენტის გეგმასთან“ დაკავშირებული „გეგმის შემუშავების დანახარჯებისა“. „მენეჯმენტის გეგმა“ წარდგენილ იქნება „საგრანტო წინადადების” მხარდასაჭერად, რომელიც თავის მხრივ მიზნად ისახავს „პდტ“-ს „მიმდინარე დანახარჯების“ დაფინანსებას. „სამინისტრომ“ ან „სააგენტომ” უნდა დააფინანსონ ან უზრუნველყონ მესამე პირების მხრიდან ნარჩენი დანახარჯების დაფინანსება.

3.1.2 <u>ზოგადად.</u> „ფონდის“ მიერ გამოყოფილი გრანტები „მენეჯმენტის გეგმასთან“ დაკავშირებული „გეგმის შემუშავების დანახარჯების“ (განმარტებული მუხლში 3.3) დასაფინანსებლად გაიცემა „საგრანტო ხელშეკრულებების“ თანახმად, რომლებიც ხელმოწერილი და მოწონებული იქნება „სააგენტოს” თავმჯდომარის და „აღმასრულებელი დირექტორის“ ან მათი სახელით მოქმედი შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ, „საბჭოს“ მიერ მოწონების შემდეგ, როგორც ეს აღწერილია მუხლში 3.2.

3.2 მენეჯმენტის გეგმის შემუშავების დანახარჯების საგრანტო განაცხადები „ფონდის“ მიერ შესაძლო დაფინანსების განსახილველად, საგრანტო განაცხადი გეგმის შემუშავების ხარჯების დასაფინანსებლად („მენეჯმენტის გეგმის შემუშავების დანახარჯების საგრანტო განაცხადი“) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

(ა) წარდგენილ უნდა იქნეს „სააგენტოს“ მიერ „ფონდის“ მიერ დრო და დრო დადგენილი „გეგმის შემუშავების დანახარჯების საგრანტო

განაცხადის ფორმით“, რაც მოწონებული იქნება შესაბამისი „პდტ“-სა და „სამინისტროს“ მიერ;

(ბ) კონსულტანტი აირჩევა „სამინისტროსა“ და „ფონდის“ წინასწარ მოწონებული კონსულტანტთა რიცხვიდან, ხოლო ძირითადი პირობები შეთანხმებული ფორმით წინასწარ ეცნობება კონსულტანტს; და

(გ) ძირითადი პირობები გადაგზავნილ იქნება სულ ცოტა სამი შესაძლო კონსულტანტისთვის შეთანხმებული სიიდან და შესაბამისი შეთავაზება შეიტანება შესაბამის „გეგმის შემუშავების დანახარჯების საგრანტო განაცხადში“.

3.3. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების დანახარჯების საგრანტო ხელშეკრულებები. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების დანახარჯების საგრანტო ხელშეკრულება („მენეჯმენტის გეგმის შემუშავების დანახარჯების საგრანტო ხელშეკრულება“) ფორმითა და შინაარსით უნდა აკმაყოფილებდეს „ფონდს“ და მათ შორის უნდა მოიცავდეს:

(ა) ზოგადად შეთანხმებულ ბიუჯეტსა და პროცენტულ მაჩვენებელს „გეგმის განვითრების დანახარჯებისა“, რაც დაიფარება ერთის მხრივ „სააგენტოს“ ან „სამინისტროს“ მიერ (და/ან სხვა, არა „ფონდის“ წყაროებიდან) და მეორეს მხრივ ფონდის მიერ (3.1 მუხლით გათვალისწინებული ოდენობით); და

(ბ) ინფორმაცია კონსულტანტზე, რომელიც მიიღებს მონაწილეობას „მენეჯმენტის გეგმის“ შემუშავებაში.

4. დაფინანსების მოსალოდნელი ოდენობა და არსებული რესურსების განაწილება

4.1 <u>„ფონდის“ მიერ დაფინანსების მოსალოდნელი ოდენობა და არსებული რესურსები.</u> 2008 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელიწადს არაუგვიანეს 31 ოქტომბრისა „ფონდი“ შეატყობინებს ყოველ „ძირითად სახელმწიფოს“ გრანტებისთვის გამოსაყოფი ფინანსების მოსალოდნელ ოდენობას კონკრეტულ კალენდარულ წელს, რომელიც იწყება შეტყობინებიდან თოთხმეტი თვის შემდეგ, რათა დროულად მომზადდეს საგრანტო განაცხადები მათი შემდგომი წარდგენისთვის. ამგვარი შეტყობინება უნდა მოიცავდეს ცალ-ცალკე შესაძლო საგრანტო დაფინანსებას ყოველი კონკრეტული ქვეყნისთვის გამოყოფილი დონაციების მითითებით. ასეთი შეტყობინებიდან ყოველი მომდევნო წლის 30 მაისისთვის „ფონდმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნოს „სააგენტოს“, სადაც მითითებული იქნება „ფონდის“ მიერ გრანტებისთვის გამოსაყოფი ფინანსების საბოლოო მოსალოდნელი ოდენობა და ასევე 31 მაისამდე შეატყობინებს „სააგენტოს“, თუკი მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი დაფინანსების ოდენობა მნიშვნელოვნად შეიცვალა.

4.2 <u>მოსალოდნელი დაფინანსების ხასიათი.</u> 4.1 მუხლში აღნიშნული მოსალოდნელი დაფინანსების ოდენობა წარმოადგენს სავარაუდო ოდენობას და „ფონდი“ არ არის პასუხისმგებელი და არ ეკისრება არანაირი ვალდებულება, თუკი გრანტებისათვის ფინანსები აღმოჩნდება მოსალოდნელი დაფინანსების ოდენობაზე უფრო ნაკლები.

4.3 <u>განაწილება არასაკმარისი დაფინანსების შემთხვევაში.</u> თუკი „ფონდს“ არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები ყველა „პდტ“-ს მხარდასაჭერად, რომელთა დაკავშირებითაც შესაბამისი საგრანტო განაცხადები იქნა წარდგენილი მოცემულ წელიწადს, „საბჭო“ აარჩევს თუ რომელ „პდტ“-ს გაუწიოს მხარდაჭერა გრანტის გაცემის კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც მოცემული დანართ F-ში.

5. ფონდის მისიის მხარდაჭერა

„სამინისტრო“ აღიარებს: (i) „ფონდის“ მისიის მნიშვნელობას საქართველოში და წვლილს გარემოს შენარჩუნებასა და მდგრად განვითარებაში საქართველოსა და მისი ხალხის საკეთილდღეოდ, და (ii) რომ „ფონდი" მიზნად დაისახავს მოიპოვოს ახალი დაფინანსება კერძო დონორებისა და პარტნიორებისაგან, ისევე როგორც ორმხრივი სამთავრობო და მრავალმხრივი დონორებისა და პარტნიორებისაგან, რათა შესაძლებელი გახდეს „ფონდის“ მისიის შესრულება. „სამინისტრომ" შეიძლება, საჭიროების შემხვევაში, თანხების მოძიების პროცესში მისცეს „ფონდს“ სარეკომენდაციო წერილები.

6. სხვადასხვა

6.1 <u>იურისდიქცია, ენა.</u> წინამდებარე „ხელშეკრულება“ და მის საფუძველზე გასაფორმებელი „საგრანტო ხელშეკრულებები“ რეგულირდება გერმანიის კანონმდებლობით, გერმანიის კერძო საერთაშორისო სამართლის გათვალისწინების გარეშე. აღნიშნული ხელშეკრულებები დაიდება ინგლისურ და ქართულ ენებზე. ენებს შორის არსებული განსხვავების შემთხვევაში, ინგლისურ ენას ენიჭება უპირატესობა. მაინის ფრანკფურტის სახელმწიფო სასამართლოებს (Landgericht) ექნებათ ექსკლუზიური იურისდიქცია წინამდებრე „ხელშეკრულებიდან“ წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე.

6.2 <u>შეტყობინებები.</u> „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება და კომუნიკაცია გაკეთდება წერილობითი ფორმით და გაეგზავნება „ფონდს“:

Caucasus Protected Areas Fund
c/o Dr. H. Gärtner/Steuerberater
Attention Executive Director
Tulpenhofstr. 18
63067 Offenbach
Germany

სამინისტროს შემთხვევაში:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

მინისტრს
გულუას ქ. 6თბილისი 0114, საქართველო

„სააგენტოს“ შემთხვევაში:

ხელმძღვანელს
გულუას ქ. 6
თბილისი 0114, საქართველო

6.3 ნაწილობრივი ბათილობა. ხელშეკრულების ერთიანობა. თუ წინამდებარე "ხელშეკრულების" ერთი ან მეტი დებულება აღნიშნული ზეგავლენას არ იქონიებს სხვა დებულებების ნამდვილობაზე. ასეთ შემთხვევაში ბათილი დებულება შეიცვლება ისეთი ნამდვილი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს მხარეთა განზრახვას და შიაარსობრივად ახლოს დგას იმ დებულებასთან, რომელიც ბათილად იქნა ცნობილი.

6.4 ცვლილებები. ცვლილებები წინამდებარე „ხელშეკრულებაში" (მათ შორის მოცემულ მუხლში) განხორციელდება მხოლოდ მხარეთა წერილობით შეთანხმებით, თუკი შესაბამისი კანონმდებლობა რაიმე სხვას არ ადგენს.

6.5 ხელშეკრულების მთლიანობა. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებულ, მხარეებს შორის დადებულ ერთიან დოკუმენტს, რომელიც უპირატესია მხარეთა შორის აქამდე გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე, ზეპირად თუ წერილობით დადებულ შეთანხმებაზე (როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო ძალის მქონე).

6.6 ფორს მაჟორი. თუკი რომელიმე მხარისთვის, ფორს-მაჟორის გამო, შეუძებელია „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე საკუთარი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ განხორციელება, მაშინ ასეთი მხარე ფორს-მაჟორის არსებობის განმავლობაში თავისუფლდება შესაბამისი ვალდებულებების განხორციელებისაგან. მხარე, რომლიც ვერ ახორციელებს თავის ვალდებულებებს, ფორს მაჟორის წარმოშობის მომენტიდან დაუყოვნებლივ ვალდებულია ზეპირი ფორმით აცნობებს მეორე მხარეს ფორს-მაჯორის გარემოების, წარმოშობის მომენტის, შესაძლო ხანგრძლივობისა და იმის შესახებ თუ რამდენად უშლის ხელს ფორს-მაჟორი ასეთ მხარეს „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების განხოციელებაში. მხარე რომელმაც გააკეთა ზეპირი შეტყობინება, ვალდებულია ასევე, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, გააკეთოს წერილობითი შეტყობინება. მხარე რომელიც ვერ ახორციელებს თავის ვალდებულებებს, მოვალეა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები იმ ფორმითა და ოდენობით რამდენადაც ეს გონივრულობის ფარგლებშია შესაძლებელი ფორს-მაჟორის არსებობის გათვალისწინებით. ტერმინი „ფორს-მაჟორი" ნიშნავს ნებისმიერ ქედებას, გარემოებას თუ მოვლენას, რაც შეუძლებელს ხდის მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში და არ ექვემდებარება ასეთი მხარის კონტროლს. ფორს-მაჟორად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, გარემოება ან მოვლენა, რაც გამოწვეულია მხარის საკუთარი ფინანსური მდგომარეობით ან დაუდევრობით.

6.7 ძალაში შესვლა. წინამდებარე „ხელშეკრულება" ძალში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

ამდენად მხარეები ხელს აწერენ წინამდე „ხელშეკრულებას“

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნ ი რესურსების სამინისტრო

მინისტრი
გიორგი ხაჩიძე

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო

ხელმძღვანელი
გიორგი შონგაძე

კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდი

აღმასრულებელი დირექტორი
დევიდ მორისონი

დანართი A

„მიმდინარე დანახარჯები” ნიშნავს მიმდინარე დანახარჯებს „პდტ“-ს საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავს ბუნებრივი გარემოს ხელშეუხებლობის უზრუნველყოფასა და ცოცხალი გარემოს სტაბილურობის შენარჩუნებას და ასევე კონკრეტული კატეგორიის „პდტ”-ის დანიშნულების განხორციელებას. მაგალითად, „მიმდინარე დანახარჯები“ მოიცავს:

ა) პერსონალის ხელფასებსა და ტრენინგების ხარჯებს;
ბ) საწვავის დანახარჯებს, რაც უკავშირდება რეგულარულ პატრულირებასა და მონიტორინგს;
გ) აუცილებელი აღჭურვილობისა და მომარაგების შეძენასა და შეცვალას, მათ შორის, პატრულებისათვის განკუთვნილ ავტომობილებს
დ) ოფისის მიმდინარე ხარჯებს;
ე) არსებული ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის მოვლის ხარჯებს;
ვ) „პდტ“-ის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებულ კვლევებს;
ზ) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასთან და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

მაგალითად, „მიმდინარე დანაარჯები“ არ მოიცავს: მიწის ნაკვეთების შეძენას ან საიჯარო უფლებებს მიწაზე, ახალი ნაგებობების აშენებას ან არსებული ნაგებობების სრულ რეკონსტრუქციას. ნაგებობათა იჯარა წარმოადგენს „მიმდინარე დანახარჯებს“.

„მიმდინარე დანახარჯები“ ასევე უნდა შეესაბამებოდეს დაცული ტერიტორიის ტიპს: მაგალითად, ვიზიტორთა ინფრასტრუქტურის მოვლასთან დაკავშირებული ხარჯები წარმოადგენს „მიმდინარე დანახარჯებს“ ეროვნულ პარკთან დაკავშირებით, მაგრამ არა მკაცრად დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში.

„პდტ“ ნიშნავს **პრიორიტეტული დაცული ტერიტორიებს** „ძირითად ქვეყნებში“:

ა) რომლებიც წარმოადგენენ უფრო ფართო „პრიორიტეტული კონსერვაციის ტერიტორიის“ ნაწილს, სახელად „კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმა“, რომელიც თარიღდება 2006 წლის მაისით და რომელიც შეიძლება შეიცვალოს გარკვეული პერიოდულობით („კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმა“);
ბ) სადაც მიწის გამოყენების ის წესები მოქმედებს, რაც შეესაბამება „პრიორიტეტულ კონსერვაციის ტერიტორის“;
გ) რომლებიც განუსაზღვრელი ვადით დაცულია სამართლებრივად ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით (როგორც ეროვნული პარკი, ნაკრძალი, აღკვეთილი, ბუნების ძეგლი); და
დ) „ფონდის“ საბჭო მიიჩნევს, რომ წარმოადგენს პრიორიტეტულ დაცულ ტერიტორიას „ფონდისთვის“, რაც ემყარება „კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმით“ განსაზღვრულ ბიოლოგიურ პრიორიტეტს.

„არსებული დაცული ტერიტორიები“	მუხლი 2.3.1 ბ) გვერდი 2
„აღმასრულებელი დირექტორი”	მუხლი 2.1 გვერდი 1
„ბიუჯეტი”	მუხლი 2.4.1 ბ) გვერდი 3
„გეგმის შემუშავების დანახარჯები“	მუხლი 3.1 გვერდი 4
„კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმა“	დანართი A გვერდი 9
„მენეჯმენტის გეგმის შემუშავების დანახარჯების საგრანტო განაცხადი“	მუხლი 3.2 გვერდი 4
„მენეჯმენტის გეგმის შემუშავების დანახარჯების საგრანტო ხელშეკრულება“	მუხლი 3.3 გვერდი 5
„პდტ“	გვერდი 1
„სააგენტო“	გვერდი 1
„საბაზისო წელი“	მუხლი 2.4.1 გვერდი 3
„საბიუჯეტო წელი“	დანართი E მუხლი 1.1 ა) გვერდი 18
„საბჭო“	მუხლი 2.1 გვერდი 1
„საგრანტო ხელშეკრულება”	მუხლი 2.5 გვერდი 4
„საგრანტო წინადადება”	მუხლი 2.4.1 გვერდი 3
„სამინისტრო“	გვერდი 1
„საოპერაციო გეგმა“	მუხლი 2.4.1 ა) გვერდი 3
„ფონდი“	გვერდი 1
„ფორს-მაჟორი“	მუხლი 6.6 გვერდი 7
„ხელშეკრულება“	გვერდი 1

დანართი B

მენეჯმენტის გეგმების საწყისი სტანდარტები

1. შინაარსობრივი მოთხოვნები მენეჯმენტის გეგმასთან ან მსგავს დოკუმენტებთან მიმართებაში

1.1. მენეჯმენტის გეგმის მოცულობა და შინაარსი

მენეჯმენტის გეგმა ან ეკვივალენტური დოკუმენტ(ებ)ი უნდა მოიცავდეს:

ა) საქმიანობას, რომლის განხორციელებასაც „პდტ“-ს ადმინისტრაცია გეგმავს გეგმით გათვლისწინებულ წელს ძირითად მენეჯმენტის ამოცანებთან მიმართებაში, როგორიცაა: პატრულირება, ბიომრავალფეროვნება, მონიტორინგი, მიწის მართვა, რუკების მომზადება, ტურიზმი და რეკრეაცია, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, სოციალური და სხვა მსგავსი პროგრამები ქარხნები, აღჭურვილობა და ნაგებობები, ადამიანური რესურსები, ფინანსების ადმინისტრირება, ფუნქციონალური ორგანიზაცია;

ბ) ფიზიკური რესურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნება დაგეგმილი მოქმედებების განსახორციელებლად.

1.2. ლოგიკური ურთიერთმიმართება საოპერაციო გეგმასა და მენეჯმენტის გეგმას შორის

„პდტ“-ს ეფექტური მენეჯმენტის გეგმის არსებობის შემთხვევაში, ამ დანართის მუხლ 1.1-ში მითითებული საქმიანობა უნდა გამოიყენებოდეს მენეჯმენტის გეგმის განსახორციელებლად და უნდა არსებობდეს ნათელი ლოგიკური ურთიერთმიმართება საოპერაციო გეგმით (ან სხვა ეკვივალენტური დოკუმენტ(ებ)ით) დაგეგმილ საქმიანობასა და მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრული მიზნობრივ და სტრატეგიულ მოქმედებებს (მენეჯმენტის საქმიანობა) შორის.

დანართი C
საწყისი მოთხოვნები ბიუჯეტების მიმართ

1. საბაზისო წელი/საბიუჯეტო წელი (საბიუჯეტო წელი განმარტებულია დანართ E-ში)

1.1 „პდტ“-ს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი უნდა იძლეოდეს განსხვავების შესაძლებლობას სახელმწიფო დაფინანსებას, ფონდის დაფინანსებასა და სხვა დაფინანსების წყაროებს შორის.

1.2 „პდტ“-ს ბიუჯეტის გასავლების ნაწილი უნდა იძლეოდეს განსხვავების შესაძლებლობას კაპიტალურ დანახარჯებსა და საოპერაციო ხარჯებს შორის, ასევე იძლეოდეს საკმარისად დეტალურ ინფორმაციას სახელფასო ფონდისა და სხვა დანახარჯებზე (საწვავი, კომუნალური ხარჯები, ტრეინინგი, სასწავლო პროგრამები და სხვა). რაც შეეხება კაპიტალურ დანახარჯებს, იგი უნდა აჩვენებდეს იმ დანახარჯებს, რომლებიც კვალიფიცირდება როგორც „მიმდინარე დანახარჯები“ და, პირიქით, რომლებიც არ ითვლებიან „მიმდინარე დანახარჯებად“.

1.3 თუკი „საბაზისო წლის“ ბიუჯეტი განკუთვნილია „არსებული დაცული ტერიტორიებისთვის“, ყველა სხვა „საბიუჯეტო წლებისთვის“ ბიუჯეტი უნდა მოიცავდეს ძირითადი ცვლილებების აღწერას არსებული წლის ბიუჯეტთან შედარებით.

1.4 თუკი ბიუჯეტში მითითებულია „მიმდინარე ხარჯების“ კონკრეტული მუხლების დაფინანსება „ფონდის“ მიერ, მაშინ ბიუჯეტი ასევე უნდა მოიცავდეს მითითებას საბიუჯეტო მუხლების თუ რა ნაწილი იფარება „ფონდის“ წყაროებისან და რა ნაწილი სხვა წყაროებიდან.

1.5 ყველა „საბიუჯეტო წლისთვის“, მათ შორის „საბაზისო წლისთვის“ გრანტის ნებისმიერი განახლებისას, ბიუჯეტის გასავლების ნაწილი, როგორც „მიმდინარე დანახარჯების“ სახეს „ფონდთან“ შეთანხმებით, უნდა მოიცავდეს:

(ა) „ფონდის“ მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შესრულებულ აუდიტს; და
(ბ) ტექნიკურ დათვალიერებას „ფონდის“ მიერ დანიშნულ ექსპერტთა მიერ, რაც უნდა დასრულდეს და ეცნობოს „ფონდს“ კონკრეტული წლის არაუგვიანეს 31 მაისისა. დათვალიერების ფარგლები განისაზღვრება „ფონდის“ მიერ და შეიძლება მოიცავდეს მენეჯმენტის ეფექტურობას, „მენეჯმენტის გეგმის“ შესრულებასა და „საოპერაციო გეგმის“ კონსერვაციას, საოპერაციო და სხვა მიზნებს და ზოგადად „მენეჯმენტის გეგმისა“ და „საოპერაციო გეგმის“ რეალიზაციას.

1.6 ამგვარი აუდიტისა და ტექნიკური დათვალიერების ხარჯები უნდა აღნიშნულ იქნას როგორც დანახარჯი რომელიც სრულად დაიფარება „ფონდის“ მიერ. აღნიშნულის მიუხედავად, „ფონდს“ შეუძლია ერთპიროვნულად უარი თქვას ტექნიკური დათვალიერების დაგეგმვისა და განხორციელების მოთხოვნაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი დათვალიერება ყველა შემთხვევაში დაიგეგმება და განხორციელდება სულ ცოტა ერთხელ სამ წლიან საგრანტო ციკლში.

2. შემდგომი წლები

2.1 რაც შეეხება შემოსავლებს, სავარაუდო ბიუჯეტი უნდა უჩვენდებდეს „ფონდის“, სახელმწიფო და სხვა დაგეგმილ შემოსავლებს. დაგეგმილი სახელმწიფო დაფინანსება „მიმდინარე დანახარჯებისა“, რაც წარმოადგენს ოპერაციულ დანახარჯებს, უნდა იყოს სულ მცირე ეკვივალენტი (ინფლაციის გათვალისწინებით) „საბაზისო წელს“ გაკეთებული მსგავსი დაფინანსებისა.

2.2 რაც შეეხება გასავლებს, სავარაუდო ბიუჯეტი უნდა განასხვავებდეს მიმდინარე და კაპიტალურ დანახარჯებს, მაგრამ არ არის აუცილებელი მოიცავდეს დანახარჯების დეტალიზაციას. თუმცა, ის უნდა მოიცავდეს „მიმდინარე დანახარჯების“ აღწერას იმ „მიმდინარე დანახარჯების“ მითითებით, რაც წარმოადგენს კაპიტალური ბიუჯეტის ნაწილს.

2.3 ის ასევე უნდა მოიცავდეს გასავლების განჭვრეტადი ზრდის ან შემცირების მიახლოებით აღწერას, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს იმგვარი ფაქტორებით, როგორიცაა (x) სავარაუდო ინფლაცია და (y) მენეჯმენტის გეგმაში გათვალისწინებული „პდტ“-ს განვითარება (როგორიცაა ახალი ნაგებობების გახსნა და დაკავშირებული პერსონალი ან შენახვის ხარჯების ზრდა). ამგვარი სავარაუდო ბიუჯეტი უნდა მოიცავდეს ინფლაციის დასაშვებობის ახსნას და სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს „საბაზისო წელთან“ ან წინა წელთან შედარებით.

დანართი **D**

„ფონდის“ გრანტებთან დაკავშირებით მენეჯმენტის და ოპერაციული გეგმების (ან სხვა ეკვივალენტური დოკუმენტების) მიმართ არსებული საწყისი მოთხოვნები

1. მოთხოვნები მენეჯმენტის გეგმის პროცესთან დაკავშირებით

1.1. მონაწილეობა

1.1.1 მენეჯმენტის გეგმის „ხედვა“, „მიზნები“ და „სტრატეგიული ღონისძიებები“ (მენეჯმენტის ღონისძიებები) შემუშავებული უნდა იქნას ადგილობრივი მოსახლეობისა და იმ ხალხის მონაწილეობით, ვინც იყენებს „პდტ“-ს ბუნებრივ რესურსებს და დამხმარე ზონებს (ასეთის არსებობისას).

1.1.2 „ხედვა“, „მიზნები“ და „სტრატეგიული ღონისძიებები“ (მენეჯმენტის ღონისძიებები) შემუშავებული უნდა იქნას გონივრულობისა და პრაქტიკულობის თვალსაზრისით, მის შემუშავებაში მონაწილე მხარეთა კონსენსუსით.

1.2 კონსულტაცია

1.2.1 თანაბარი შესაძლებლობები მიეცა ყველას ქვეყანაში, ვისაც გააჩნდა ინტერესი „პდტ“-ს მართვაში შესაბამისი კომენტარი გაეკეთებინა მენეჯმენტის გეგმის პროექტზე ასეთის დამტკიცებამდე. გონივრული ღონისძიებები იქნა გატარებული პასუხისმგებელი პირის მიერ რათა უზრუნველყოფილიყო მენეჯმენტის გეგმის ხელმისაწვდომობა და წაეხალისებინათ კომენტარების მიღება და საკმარისი დრო იქნა გამოყოფილი ხალხისთვის კომენტარების წარსადგენად.

1.2.2 მენეჯმენტის გეგმის დასრულებამდე და დამტკიცებამდე, შესაბამისი ყურადღება დაეთმო მენეჯმენტის გეგმაზე გაკეთებულ ყველა წერილობით კომენტარს.

2. მოთხოვნები მენეჯმენტის გეგმის შინაარსთან დაკავშირებით

2.1 მიმდინარე

მენეჯმენტის გეგმა იქნება მიმდინარე და უმეტესწილად საკმარისი დოკუმენტი, რითაც იხელმძღვანელებს „პდტ“-ს მენეჯმენტი.

2.2 ტერიტორიული მოცულობა

თუკი „პდტ“-ს აქვს დამხმარე ზონა (ბუფერული ზონა), მენეჯმენტის გეგმა, „პდტ“-ს ადმინისტრაციის უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში, შეეხება დამხმარე ზონის ისევე როგორც „პდტ“-ს ადმინისტრაციას.

2.3 აღწერა

მენეჯმენტის გეგმა მოიცავს ინფორმაციას ტერიტორიის თვისებების შესახებ (ბიომრავალფეროვნება, კულტურული, სოციალური და სოციალურ-ეკონომიკური) ისევე როგორც რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ღირებულებებს რომელსაც ის დაიცავს მისი გამოყენების სახესთან, სამართლებრივ და მენეჯმენტის ჩარჩოებთან მიმართებაში. როგორც მინიმუმ, აღწერა მოიცავს 2.9 პუნქტში მოცემულ ინფორმაციას.

2.4 ხედვა

მენეჯმენტის გეგმა მოიცავს „ხედვას“, რომელიც აღწერს „პდტ“-ს (და არსებობის შემთხვევაში, დამხმარე ზონის) სასურველ პირობებსა და მდგომარეობას მომავალ 20-დან 50 წლამდე შუალედში. ხედვა არის საკმარისად დეტალური, რომელიც იძლევა განვითარების მიზნებისა და სტრატეგიული მოქმედებების მყარ საფუძველს, ისევე როგორც საკმარისად ლაკონურია, იმდენად, რამდენადაც იძლევა ადვილად გაგებისა და აღქმის შესაძლებლობას ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია „პდტ“-ს მომავლით.

2.5 ზონირების გეგმა

2.5.1 თუკი ადგილობრივი კანონმდებლობა მოითხოვს და თუკი ნებისმიერი ეროვნული პარკი ან დაცული ტერიტორია ექვივალენტია IUCN II (ან უფრო ქვედა) კატეგორიისა, მაშინ მენეჯმენტის გეგმა მოიცავს ზონირების გეგმას.

2.5.2 ზონირების გეგმა როგორც მინიმუმ ამტკიცებს იმგვარ ზონებს, როგორც ეს მოითხოვება ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად და მოიცავს მკაცრი დაცვის ზონას, სადაც ადამიანთა საქმიანობა შემოიფარგლება სამეცნიერო კვლევებით.

2.5.3 ზონრების გეგმაში ხდება „პდტ“-ს იმ ნაწილების იდენტიფიცირება, სადაც „პდტ“-ს რესურსების ტრადიციული გმოყენების გაგრძელება დასაშვები იქნება გარკვეული წესების გათვალისწინებით, რომლებიც თავის მხრივ რეალიზებულ იქნება ზონირების გეგმაში ან ზოგადად მენეჯმენტის გეგმაში მოცემული სტრატეგიული ღონისძიებებით (მენეჯმენტის ღონისძიებებით).

2.5.4 ზონებისა და მათი საზღვრების შერჩევა უზრუნველყოფს, შესაძლებლობის ფარგლებში, ტერიტორიების ეკოლოგიური მთლიანობის დაცვას და იმავდროულად შესაფერისი ადამიანური საქმიანობის დაშვებას.

2.5.5 თუკი მენეჯმენტის გეგმა არ წარმოადგენს ასეთ პირველ გეგმას მოცემულ „პდტ“-სთან დაკავშირებით რომელიც ექვემდებარება საგრანტო განაცხადს, მაშინ გეგმა უნდა მოიცავდეს წინა მენეჯმენტის გეგმაში მოცემული ზონირების გეგმის ეფექტურობის მოკლე შეფასებას და უნდა მოიცავდეს მითითებას იმაზე, რომ შესაბამისი ყურდღება მიექცა ასეთი შეფასების შედეგებს.

2.6 სტრატეგიული ღონისძიებების მიზნები

2.6.1 მენეჯმენტის გეგმა მოიცავს მიზნებს რომლის შესრულებასაც ესწრაფვის „პდტ“-ს ადმინისტრაცია გეგმისა და სტრატეგიული ღონისძიებების (მენეჯმენტის ღონისძიებების) მოქმედების განმავლობაში, რომელთა გამოყენებითაც ადმინისტრაცია გეგმავს ასეთი მიზნების მიღწევას.

2.6.2 მიზნები, როგორც მინიმუმი, უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) ადმინისტრაციის განვითარებას;
ბ) „პდტ“-ს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას;
გ) დამხმარე ზონებში (ასეთის არსებობისას) მდგრადი არსებობის პირობების განვითარებას;
დ) ვიზიტორთა მენეჯმენტს (ასეთის არსებობისას).

2.6.3 მიზნები და სტრატეგიული ღონისძიებები (მენეჯმენტის ღონისძიებები) ემყარება მიზეზებისა და შედეგების სისტემის აღწერას, რომელიც განსაზღვრავს „პდტ“-ს სამომავლო მდგომარეობას. მიზეზებისა და შედეგების სისტემის აღწერა იყენებს გეგმის შედგენის პერიოდისთვის გეგმის შემდგენი ჯგუფის ხელთ არსებულ ინფორმაციას, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნას.

2.6.4 თუკი მენეჯმენტის გეგმა არ წარმოადგენს ასეთ პირველ გეგმას მოცემულ „პდტ“-სთან დაკავშირებით რომელიც ექვემდებარება საგრანტო განაცხადს, მაშინ გეგმა მოიცავს წინა მენეჯმენტის გეგმაში მოცემული ზონირების გეგმის ეფექტურობის მოკლე შეფასებას და ასევე მოიცავს მითითებას იმაზე, რომ შესაბამისი ყურდღება მიექცა ასეთი შეფასების შედეგებს.

2.7 მონიტორინგის გეგმა

მენეჯმენტის გეგმა მოიცავს მონიტორინგის გეგმას, რომელიც:

ა) მოიცავს იმ ინდიკატორების შერჩევის ჩამონათვალსა და ახსნას, რომლებიც გამოიყენება მენეჯმენტის გეგმის მიზნების წარმატების და წარუმატებლობის, ისევე როგორც წარუმატებლობის მიზეზების განსაზღვრის საფუძვლად;
ბ) აღწერს ინფორმაციის წყაროებს, რომლებიც გამოიყენება მონიტორინგისთვის;
გ) განსაზღვრავს მოვალეობებს ინფორმაციის შეგროვებისა და დახარისხების კუთხით.

2.8 განხილვის პერიოდულობა

2.8.1 მენეჯმენტის გეგმა ადგენს გეგმის მოქმედების ვადას, ვადებს, როცა უნდა მოხდეს გეგმის ხელახალი განხილვა და მასში ცვლილებების შეტანა, ასევე კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც განახორციელებს ასეთ განხილვას და ცვლილებების შეტანას.

2.9 ინფორმაცია რომელსაც უნდა მოიცავდეს მენეჯმენტის გეგმის აღწერა

მენეჯმენტის გეგმა უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას. ამასთან ერთად (მიუხედავად იმისა გათვალისწინებულია თუ არა ეს საქართველოს კანონმდებლობით), მენეჯმენტის გეგმა ასევე უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

კორპორაციული ინფორმაცია

ა) ადგილმდებარეობა
ბ) ტერიტორია
გ) IUCN კატეგორია
დ) სამართლებრივი სტატუსი
ე) ინსტიტუციური სტრუქტურა
ვ) ადმინისტრაციული სტრუქტურა

ფიზიკურ-გეოგრაფიული ინფორმაცია

ა) კლიმატი
ბ) ჰიდროლოგია
გ) გეოლოგია

ბიოლოგიური ინფორმაცია

ა) ლანდშაფტი და საცხოვრებელი გარემო
ბ) ფლორა
გ) ფაუნა

სოციალური და კულტურული ინფორმაცია

ა) დასახლებანი და მოსახლეობა
ბ) მიწის არსებული სტატუსი (ტრადიციული გამოყენება, საძოვარი)
გ) საკუთრების სტატუსი, იჯარა, მფლობელობა, მისასვლელი გზა, სხვა პირობები და შეზღუდვები
დ) ეკონომიკური საქმიანობა

ისტორიული მიმოხილვა

ა) არქეოლოგია
ბ) ისტორიული ძეგლები

დანართი E

დებულებები რომლებიც სავარაუდოდ აისახება საგრანტო ხელშეკრულებებში

1. **ანგარიშგება.** დეტალური წერილობითი ანგარიშები, რომლებიც მიეწოდება „ფონდს“ „პდტ“-ს საქმოანობაზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოწმებულ იქნება „პდტ“-ს დირექტორისა და „სააგენტოს“ ხელმძღვანელის მიერ და უნდა მოიცავდეს შემდეგს:

1.1 შეთანხმებული თარიღისთვის ყოველ წელს დაწყებული „საბაზისო წლიდან“:

ა) ახალი „საოპერაციო გეგმა“ და „ბიუჯეტი“ მომავალი წლისთვის („საბიუჯეტო წელი“) რომლებიც აკმაყოფილებს „ხელშეკრულების“ 2.4 მუხლის მოთხოვნებს და შედგენილია იმ ფორმით, რომელიც მოცემულია „საბაზისო წლის“ „საოპერაციო გეგმასა“ და „ბიუჯეტში“ (იმის გათვალისწინებით რომ „ბიუჯეტი“ უნდა მოიცავდეს მხოლოდ „საბიუჯეტო წელსა“ და მის შემდგომ წელიწადს); და
ბ) „ბიუჯეტთან“ მიმართებაში, მოცემული წლის „ბიუჯეტში“ არსებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების ახსნა, წინა წლის „ბიუჯეტთან“ შედარებით.
გ) ანგარიში მიმდინარეობის შესახებ რომელიც მოიცავს ოპერაციულ, კონსერვაციისა და სხვა მიზნების მიღწევის პროგრესს, რომლებიც მოცემულია მენეჯმენტის გეგმასა და მიმდინარე წლის „საოპერაციო გეგმაში“.

1.2 ყოველი საგრანტო წლის დასასრულიდან ხუთი თვის განმავლობაში, აუდიტის მიერ დამოწმებული (როგორც მოცემულია ქვემოთ) ყოველწლიური შემოსავლისა და გასავლის ანგარიში მოცემული წლისთვის იმ ფორმით როგორც მოცემულია მოწონებულ „ბიუჯეტში“, ასევე მოწონებულ „ბიუჯეტში“ შესული მნიშვნელოვანი ცვლილებების მითითებით.

2. **გაცემის პერიოდულობა.** თუკი სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, გრანტის გაცემის პირობები უნდა მოიცავდეს, მათ შორის, საკითხებს რომლებიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

3. **გადახდის პირობები.** თუკი სხვაგვარად არ შეთანხმდება მხარეთა შორის, გრანტების გადახდის პირობები დაეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

3.1 პირველი გადახდა. „ფონდს“ მიღებული უნდა ჰქონდეს:

ა) ანგარიშები, როგორც ეს მოითხოვება 1.1-ის შესაბამისად, ზემოთ;
ბ) თუკი არსებობს „დაცული ტერიტორიის სააგენტოს“ რაიმე ოფიციალური დოკუმენტი ან ცხრილი, გარდა მოწონებული ბიუჯეტისა, რომელიც ადგენს „პდტ“-ს ბიუჯეტს მომავალი წლისთვის, ასეთი ცხრილის ან დოკუმეტის ასლი (რომელიც თავის მხრივ უნდა შეესაბამებოდეს მოწონებულ „ბიუჯეტს“);
გ) კალენდარი ნებისმიერი დაფინანსებისა არა-„ფონდის“ წყაროებიდან (გარდა „სააგენტოს“ მიერ განხორციელებული რეგულარული გადახდები „პდტ“-ს ხარჯებისა) „საბაზისო“/„საბიუჯეტო“ წლისთვის;

დ) „სააგენტოს“ მიერ გაკეთებული კონფირმაცია მასზედ, რომ: (x) „სააგენტომ“ განახორციელა მთლიანი გადახდა წინა წელს „პდტ“-ს სასარგებლოდ ან ამ უკანასკნელის სახელით დანახარჯებისა, რომლებიც შეადგენს სულ ცოტა მოწონებული „ბიუჯეტის“ ოდენობის ნახევარს მოცემული წლისთვის; (y) ნებისმიერმა არა-„ფონდის“ წყაროებმა განახორციელეს ყველა თანხის გადახდა რომლებიც უნდა გადახდილიყო მათ მიერ „ბიუჯეტში“ მიმდინარე ან წინა წელს; და (y) „ფონდის“ მიერ წინა წელს გამოყოფილი დაფინანსება გაზრდილია; და

ე) პოზიტიური მოსაზრება, ინფორმაციისა და ანგარიშების საფუძველზე რომლებიც მოწოდებულია წინამდებარე 3.1 მუხლის შესაბამისად, ასევე სხვა ინფორმაცია რასაც საჭიროდ მიიჩნევენ, რომელიც გაიცემა „ფონდის“ „აღმასრულებელი დირექტორის“ ან ამ უკანასკნელის მიერ დანიშნული პირის მიერ და შეეხება „ფონდის“ ფინანსების ეფექტურ გამოყენებას.

3.2 მეორე გადახდა. „ფონდს“ მიღებული უნდა ჰქონდეს:

ა) „პდტ“-ს შემოსავლისა და გასავლის განაცხადი, რომლებიც ფარავს წინა წელს ზემოთაღნიშნული 1.2 მუხლის შესაბამისად, დამოწმებულია „ფონდის“ მიერ დანიშნული აუდიტორების მიერ (ქვემოთ მოცემულის შესაბამისად) და შეიცავს „ფონდისთვის“ მისაღებ აუდიტორულ დასკვნას;

ბ) „სააგენტოს“ მიერ გაკეთებული კონფირმაცია: (x) მოცემული წლის ამ დრომდე „სააგენტოსა“ და „ფონდის“ მიერ „პდტ“--თვის ან ამ უკანასკნელის სახელით გაკეთებული მთლიანი გადახდები (მაგ. ასეთი წლის 31 მაისი); და (y) რომ სხვა არა-„ფონდის“ წყაროებმა დააფინანსეს მთლიანი ღირებულება რაც დაგეგმილი იყო მათ მიერ „საბაზისო“/„საბიუჯეტო წელს” 30 ივნისამდე;

გ) პოზიტიური მოსაზრება, ინფორმაციისა და ანგარიშების საფუძველზე რომლებიც მოწოდებულია წინამდებარე 3.2 მუხლის შესაბამისად, ასევე სხვა ინფორმაცია რასაც საჭიროდ მიიჩნევენ, რომელიც გაიცემა „ფონდის“ „აღმასრულებელი დირექტორის“ ან ამ უკანასკნელის მიერ დანიშნული პირების მიერ და შეეხება „ფონდის“ ფინანსების ეფექტურ გამოყენებას.

4. გადახდის მექანიზმები. დეტალური დებულებები განსაზღვრავს განხორციელდება თუ არა „ფონდის“ მიერ გადახდები სამინისტროს მიერ ექსკლუზიურად გამოყოფილ ცალკეულ ანგარიშზე, რომელიც განსაზღვრული იქნება „ფონდიდან” თანხების მიღება/გაცემაზე, პირდაპირ ინდივიდუალურ „პდტ”-ს ანგარიშზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ სხვაგვარად.

5. დაშვება. „პდტ“ და „სააგენტო“ უზრუნველყოფენ, გონივრულობის ფარგლებში, „ფონდის“ წარმომადგენლების (მათ შორის „ფონდის“ მიერ დანიშნული მესამე მხარეების) დაშვებას: (i) „სააგენტოსა“ და „პდტ“-ს ყველა შესაბამის ფინანსურ ჩანაწერთან, რათა საშუალება მიეცეს „ფონდს“ განახორციელოს „პდტ“-ს შემოსავლებისა და გასავლების ყოველწლიური ანგარიშის აუდიტი; და (ii) „პდტ“-ს ტექნიკურ, სამეცნიერო და ოპერაციულ ჩანაწერებთან, რათა განხორციელდეს თანხების ეფექტური გამოყენების შეფასება.

6. თანამშრომლობა. „პდტ“, „სააგენტო“ და „სამინისტრო“ ითანამშრომლებენ: (i) „ფონდის“ მიერ დანიშნულ აუდიტორებთან, რომლებიც განახორციელებენ „პდტ“-ს შემოსავლებისა და გასავლების ანგარიშების აუდიტს ყოველი წლის დასასრულიდან 5 თვის განმავლობაში; და (ii) „ფონდის“ მიერ დრო და დრო დანიშნული ტექნიკურ მრჩევლებთან, რომლებიც განახორციელებენ მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასებას, „მენეჯმენტის გეგმის“ შესრულებას და „საოპერაციო გეგმის“ კონსერვაციის მიღწევას, ან სხვა ოპერაციული ან სხვა სახის მიზნების შესრულებას, ან მთლიანობაში „მენეჯმენტის გეგმისა“ და „საოპერაციო გეგმის“ რეალიზაციის საკითხის დადგენას. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს “პდტ”-ს მთელს შემოსავცლებსა და ხარჯებს, მათ შორის იმათაც, რომელსაც არ აფინანსებს “ფონდი”.

აუდიტორებისა და ტექნიკური მრჩევლების ანაზღაურება და ხარჯები დაიფარება „ფონდის“ საგრანტო დაფინანსებიდან, შესაბამისად, ამ მიზნით აღნიშნული ფინანსებიდან

7. გრანტის შეწყვეტა. “ფონდს” უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს “გრანტის ხელშეკრულება” არაუადრეს 1 წლით ადრე შეტყობინების გაგზავნიდან, თუკი დაადგენს რომ: (i) დონორებისგან ფინანსური სახსრების მოპოვების შეუძლებლობის ან სხვა მიზეზების გამო მას აღარ აქვს საშუალება განაგრძოს გრანტების დაფინანსება არსებული გეგმის მიხედვით. (ii) განსაზღვრავს, რომ სამინისტრო არ ახორციელებს იმ “პდტ”-ს, კონსერვაციას რომელზეც ვრცელდება “საგრანტო ხელშეკრულება” ან საქართველოს იმ “პდტ”-ებს, რომლებიც ხვდებიან “კავკასიის ეკო-რეგიონალური გეგმის” კონსერვაციის მიზნებში.

8. შესყიდვები. განისაზღვრება დებულებები, რომელთა მიხედვითაც “პდტ” „მიმდინარე ხარჯებთან“ დაკავშირებული შესყიდვები განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ასევე იმ სტანდარტების დაცვით რაც გონივრულობის ფარგლებში მოითხოვება “ფონდის” მიერ. ასევე განისაზღვრება დებულებები, სადაც აისახება „სამინისტროს“ პირობა რათა უზრუნველყოს და ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობისათვის რომლებიც შეეხება გრანტის ფარგლებში განხორციელებული პროექტებთისვის დღგ–თი და საბაჟო გადასახადისგან განთავისუფლებას (პროდუქციისა და მომსახურების საქართველოში იმპორტისას).

9. გამოუყენებელი/არასწორად გამოყენებული ფინანსების დაბრუნება. „პდტ“ ან „სააგენტო“ ვალდებულია სწრაფად დაუბრუნოს ნებისმიერი საგრანტო ფინანსები, რომელთა გახარჯვაც არ განხორციელებულა საგრანტო პერიოდის ბოლოს. არასწორად გამოყენებული ან მენეჯმენტის გეგმით გაუთვალისწინებელი მიზნით გამოყენებული ნებისმიერი ფინანსების ეკვივალენტური თანხები დროულად (ამგვარი არასწორი ან არამიზნობრივი გამოყენების დადგენიდან) უნდა იქნეს დაბრუნებული „ფონდისთვის“ „პდტ“-ს ან „სააგენტოს“ მხრიდან.

9. სამომავლო დისკვალიფიკაცია. თუკი საგრანტო ფინანსები გამოყენებულია არასწორად ან მენეჯმენტის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მიზნით, „პდტ“-ს არ ექნება უფლება მიიღოს „პდტ“-თვის განკუთვნილი გრანტები მომავალში, „საბჭოს“ მიერ დადგენილი დროის განმავლობაში.

დანართი F

ამჟამად მოქმედი გრანტის გამოყოფის კრიტერიუმი

შეუცვლელობა - „პდტ“-ები, რომლებშიც არის გლობალური საშიშროების ქვეშ მყოფი ან შეზღუდული ოდენობის სახეობები. ყველაზე შეუცვლელი „პდტ“-ებია ისინი, რომლებიც შეიცავენ ერთეულ ყველაზე საციცოცხლო დასახლებას და/ან ყველაზე დიდ გენეტიკურ მრავალფეროვნებას კონკრეტული სახეობას (ე.ი. სახეობები, რომლებიც კლასიფიცირდება IUCN წითელი წიგნის მიერ);

წარმომადგენლობა - „პდტ“-ები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკორეგიონის დაცული ტერიტორიების ენდემური სახეობების და გარემოს წარმომადგენლობის სრულ სპექტრს.

გადაუდებლობა - „პდტ“-ები, რომლებიც იძლევიან გადაუდებელი კონსერვაციის შესაძლებლობას და/ან განიცდიან მწვავე საშიშროებას ენდემური და/ან საშიშროების ქვეშ მყოფი სახეობებისა და მათი საცხოვრებელი გარემოს განადგურებისა;

განხორციელებადობა - „პდტ“-ები, რომლებიც არსებობენ სასურველ ადგილობრივ ან რეგიონულ კონტექსტში, ე.ი. რომლებიც ხელს უწყობენ ადგილობრივ დასახლებებს; და

რეგიონული მნიშვნელობა - „პდტ“-ები, რომლებიც ხელს უწყობენ „ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმის“ ზოგად რეალიზაციას და ეფექტურობას.